ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2420685

ნომერი: AR1373858

თარიღი : 28.01.2016

გაცემის თარიღი : 09.02.2016

გაცნობის თარიღი : 10.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჯოხაძე პ/ნ 62007012379
- გაგრა ს. ლიძავა

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ჯოხაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01.13.07.026.014

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლაშა ალავიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. არქიტექტურულ პროექტში არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი;

2. სს პროკრედიტ ბანკის 2015 წლის 10 ნოემბრის წესდების 42–ე მუხლის შესაბამისად, ბანკს ერთობლივად წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს ნებისმიერი ორი წევრი. 43–ე მუხლის თანახმად, ბანკის დირექტორთა საბჭომ შესაძლოა ბანკის გარკვეულ თანამშრომლებს მიანიჭოს გენერალური მინდობილობა (ხელმოწერის სრული უფლებამოსილება) ან კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეზღუდული უფლებამოსილება. ხოლო, 44–ე მუხლის შესაბამისად ბანკი ვალდებულია გამოაქვეყნოს იმ პირთა ვინაობა, რომელთაც მიენიჭათ ხელმოწერის სრული უფლებამოსილება. 2016 წლის 27 იანვრის თანხმობა გაცემულია სამი დირექტორიდან ერთ–ერთი დირექტორის და უფროსი იურისტის მიერ. ამიტომ, წარმოადგინოს ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, უფლებამოსილი პირების მიერ გაცემული თანხმობა ან იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ზემოაღნიშნულ პირებს ჰქონდათ თანხმობის გაცემის უფლებამოსილება.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა 777–ის 2016 წლის 26 იანვრის კრების ოქმის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარეების – მაია ყიფშიძის, დავით ჯოხაძის და ლევან ბურჯანაძის მიერ თანხმობა გაცემულია მოსარგებლის – შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის მიერ საერთო საკუთრების ღობეზე სარეკლამო ბრის განთავსებაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტს, ორგანიზაციის ველში იგი უნდა დაფიქსირდეს დამკვეთად (ფიზიკურ პირად მისი დირექტორი) და ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის თავმჯდომარეების – მაია ყიფშიძის, დავით ჯოხაძის და ლევან ბურჯანაძის მიერ გაცემული თანხმობა დამოწმებული უნდა იქნას ნოტარიულად. ამასთან, #AR1367851 განცხადებაზე წარმოდგენილი 2015 წლის 01 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულების 4.1 პუნქტის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2015 წლის პირველი აგვისტოდან 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, ამიტომ საჭიროა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება დადებულია შპს მედპართან, რომლის საფირმო სახელწოდება დღევანდელი მდგომარეობით არის შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტი. ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15213626; მომზადების თარიღი: 03/11/2015 წ.; ს/კ: #404498021) თანახმად, შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის დირექტორია ნორა კოკაია. ამიტომ თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტს, თანაგანმცხადებლად და დამკვეთად უნდა იქნას რეგისტრირებული შპს–ს დირექტორი ან წარმოდგენილ იქნას მის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.